# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვ. რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახ. № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგ. დოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## სურათებიან ვეფხის-ტყაოსნის გამომცემლისაგან.

თუმცა განცხადებისამებრ „სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანი“ ამ წლის იანვრის პირველამდე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამ ძნელსა და ძვირფასს გამოცემას ბევრი დაბრკოლება დახვდა და ამის გამო პირობა ვადის შესახებ ვერ შევასრულეთ. ესეთი დაბრკოლება აუცილებელია თვით დიდ ქალაქებშიაც და ადვილად წარმოსადგენია ტფილისისთანა ქალაქში, სადაც ჯერ ძვირფასი გამოცემა არა დაბეჭდილა-რა. ჩვენ მივიღეთ ყოველივე ღონის-ძიება ამ დაბრკოლებათა ასაცილებლად და სრული იმედი გვაქვს, რომ წიგნი უეჭველად აპრილის დამდეგს გამოვა. გამოსვლისათანავე გაზეთებში იქნება გამოცხადებული. ვისაც ხელი აქვს მოწერილი, მაშინ უნდა მოჰმართონ გამომცემელს წიგნის მისაღებად.

გამომცემელი გიორგი ქართველიშვილი

ტფილისი, 30 იანვარი

გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში ერთმა ჩვენის სცენის მოყვარემ გვაუწყა, რომ ჩვენის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა დიდს შეწუხებასა და გაჭირებაშიაო. ეგ კიდევ არაფერი. არაფერი, იმიტომ-რომ ჩვენში არც ერთი საზოგადოებური საქმე არ არის, რომ შესაწუხარი და გასაჭირებელი არ იყოს იმათთვის, ვისაც ბედად ჰხვდება ხოლმე გაძღოლა და გამგეობა საქმისა. ყველამ, ვინც-კი თავის ღონეს და მხნეობას სწირავს ხოლმე საზოგადოებურს საქმეს, წინადვე იცის, რა თოკს იჭერს ხელში, რა წვალებისა, წყენისა და შეწუხების უღელში ებმის. რაკი ყოველივე ეს წინადვე იცის და საზოგადოების და ქვეყნის სიყვარულით საქმეში მაინც ჩასდგება ხოლმე, სჩანს, რომ ეს წვალება, წყენა, შეწუხება არ აშინებს და არ აფრთხობს. ამაშია სათავე და საბუთი იმ პატრივის-ცემისა, რომელსაც ყოველი გულ-პატიოსანი კაცი ჰგრძნობს ხოლმე ჩვენში საზოგადო მოღვაწის მიმართ. ერთად-ერთი ნუგეში, ერთად-ერთი ჯილდო ამ მოღვაწეობისათვის მარტო ეს პატივის-ცემაა. ხოლო ეს პატივის-ცემაც ისე ხშირი არ არის, როგორც სასურველია: ამ პატივის-ცემას ერთი ორიოდ კაცი თუ ატარებს ხოლმე გულში და ათასი სხვა-კი მარტო იმის ცდაშია, რომ მოღვაწეს გული გაუტეხოს და რაც შესაძლოა, მომატებული წყენა მიაყენოს.

ეს ყოველი, რასაკვირველია, წინადვე ცნობილი ექმნებოდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და გაჭირება და შეწუხება, რომელსაც ჩვენის სცენის მოყვარე იხსენიებს, იმისთვის მოულოდნელი და ახალი ამბავი არ უნდა იყოს, ნამეტნავად თუ წარმოვიდგენთ, რა რთული და ძნელი მოსავლელი საქმეა ჩვენის თეატრის საქმე. ამიტომაც ვსთქვით, რომ გამგეობის შეწუხება და გაჭირება კიდევ არაფერიაო, იმიტომ-რომ გამგეობამ იცოდა, რომ ეგ ეგრე იქნება და მაინც თავის სასახელოდ ხელი მოჰკიდა ამ საქმეს და არ შეუშინდა. ჭირი მხოლოდ ის არის, რომ, სცენის მოყვარის სიტყვით, ამ შეწუხებას და გაჭირებას ფიალა მოთმინებისა აუვსია და იქამდე მიღწეულა საქმე, რომ გამგეობას ფიქრი გაუტარებია გულში სრულად დაჰშალოს და დაითხოვოს ჩვენი დასი და ამ სახით ქართული წარმოდგენანი დიდ თუ პატარა ხნობით შეაყენოს.

რა თქმა უნდა, რომ ყოველს ფერს თავისი საზღვარი აქვს. შესაძლოა, შეწუხება და გაჭირება იქამდე გაძლიერდეს, რომ კაცს სული შეუხუთოს და მოქმედებისათვის ყოველივე ღონე და სახსარი მოუშალოს. ამისთანა განსაცდელი, ამისთანა შიში, ამისთანა საზღვარს გადაბიჯება უფრო საფიქრებელია თეატრის საქმეში, ვიდრე სხვა რასმეში. საკმარისია, რომელმამე არტისტმა თავზედ ხელი აიღოს და სთქვას, არ ვითამაშებო მაშინ, როცა ფარდა უნდა აიხადოს წარმოდგენისათვის და ის არტისტი უნდა გაძოვიდეს სათამაშოდ, — საკმარისია ერთი ამისთანა უმსგავსო მაგალითი, რომ გამგეობამ ყოველივე მოთმინება დაჰკარგოს და სულ დაჰშალოს საქმე, ვიდრე ყოველ წარმოდგენაზედ ამისთანა შიშსა და განსაცდელ ქვეშ დააყენოს თავისი თავი, საზოგადოება და თვითონ საქმეცა. ეს ერთი მაგალითია და რამდენი ამისთანა ხათაბალა შეუძლიან მიაყენოს თეატრის საქმეს არტისტმა, თუ გაკადნიერდა და თავზედ ხელი აიღო.

მართლა რომ ძნელი რამ არის, — ამისთანა და ან ამის მგზავს საქციელს არტისტისას გაუძლოს კაცმა. ძნელია და მეტის-მეტადაც ძნელია კაცი ყოველ დღე, ყოველს წუთს არტისტისაგან შიშსა და განსაცდელს ქვეშ იყოს, აცა ან ეხლა გაუწყრება ღმერთი და უმართებულობას რასმე ჩაიდენს, ან ეხლაო. ამისთანა შიშისა და განსაცდელის ზედ-მოქმედება ისეთი ძლიერია, რომ თვითონ სიყვარული საქმისა იძულებულ ჰყოფს კაცს თავი დაანებოს საქმეს და სრულებით ხელი აიღოს. ხოლო ეს ხელის-აღება და თავის დანებება მარტო მაშინ არის შესაწყნარებელი, როცა სხვა გზა აღარ არის, როცა საქმეს არსაიდამ აღარ მოევლება. ჩვენის თეატრის საქმე აქამომდე არა გვგონია მისული.

მართალია, ვერა გვარი ქაღალდზედ დაწერილი წესი ვერ შეჰკრავს თეატრის საქმეს ისე, რომ რომელმამე არტისტმა შეუწყნარებელი უმზგავსობა რამ არ მოახდინოს, რაკი ერთხელ და ერთხელ თავისი საკუთარი ღირსება არაფრად მიაჩნია და რაკი იმოდენად უწვრთნელია, გონება და გულდახშულია, რომ არ ესმის რის მოვალეა საზოგადოების წინაშე, როცა უკისრნია თეატრის სამსახური, სასცენო მოღვაწეობა. ყოველს ამაში მხოლოდ თვით არტისტის ზნეობითი ღირსებაა თავ-მდები მისის რიგიანობისა, წესიერობისა და მართებულობისა. ზნეობიანი, ღირსებიანი არტისტი თავის დღეში არ იკადრებს უმზგავსობა რამ ჩაიდინოს, თავის თავიც შეირცხვინოს და საქმეც, რომელსაც ემსახურება. საკუთარის თავის პატივი ამის ნებას არ მისცემს და აი სწორედ ამაშია ის სახსარი, რომელსაც ხელი უნდა მოჰკიდოს ჩვენის დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ ჩვენის სცენის დასახსნელად გაუქმებისაგან.

ჩვენს დასში, თუ, ჩვენდა სამწუხაროდ, არის იმისთანა არტისტი, რომელმაც არ იცის საკუთარის თავის პატივი, რომელსაც მისი საკუთარი ზნეობითი ღირსება არა ჰთავმდებობს და რომელსაც სცენა მარტო თავის თვით-ნებობის მოედნად მიაჩნია და უწესოებას, ურიგობას არა ჰთაკილობს, არ უკადრისობს, იგი ერთს დღესაც დასაყენებელი არ არის დასში, რაც უნდა დიდის ნიჭის პატრონი იყოს. რასაკვირველია, ნიჭიერი არტისტი დიდი რამ არის სცენისათვის, მაგრამ თუ სხვაფრივ ყოვლად აუტანელია, ისევ უმისოპა სჯობია, თორემ ჩვენის თეატრის საქმე ყოველთვის ბეწვზედ ეკიდება და ეს არა გზით შესაწყნარებელი არ არის.

ამიტომაც სრულად თანა-მზიარენი ვართ იმ აზრისა, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოსთქვა ერთმა ჩვენის სცენის მოყვარემა,

## ფელეტონი

***

რას აზუზუნებ მაგ ფანდურს?
დადე ეგ ოხერ-ტიალი!..
რაკი მოუკვდა პატრონი,
სიმებმც შესწყვიტეს წკრიალი...
მოკვდა ვაჟურად ლაშქარში,
მომიკვდა კაყა შვილია,
ოჯახს დედა-ბოძ წაექცა,
პერანგს შამიწყდა რღილია!..
ვილა დასძახებს ფანდურზე,
ოხრად ჰკიდია ფანდური,
ვერსად წაუხვალ ყისმათსა,
ბედსაც ემაიდ ვემდური!

რო დაუკრიდის, დაჰმღერდის,
გულსაც-კი ეფონებოდის,
დაჰმღერდის მთასა და ბარსა,
ანგელოზ ეგგონებოდის...
აქებდის ვაყთა სიმარჯვეს,
იმაით კრმლისა პრიალსა,
ლურჯა მერანის სიმარდეს,
მუხლსა და ოთხზე ტრიალსა!
უმღერდის გულის წაწალს,
ქალას ცა-თვალებიანსა,
ფსიტივით მფრთხალსა, თეთრ-წითურს,
დიაცს კოჭამდის თმიანსა...

ნუღარ აკვნესებ მა ფანდურს,
გული რამ მიღონდებისა,
ვერ ამაცრემლებ, გავსალდი,
შვილი რომ მაგონდებისა!..

თ. რაფ. ერისთავი

## მცირე შენიშვნა

რა არის „შანტაჟი“?—ბ-ნი პოლკოვნიკი ხან-ნახჩევანსკი და თემიდას გამარჯვება.—ქ-ნ ოლიმპიადა ფონ-ციგლერის წერილი.—მატყუარა მონადირე.—თურმე რაში ყოფილა საქმე!

მართალია, გაჭირდა ცხოვრება, ლუკმა პურის შოვნა. მაგრამ, დამეთანხმებით, ისეთი ძნელიც არ არის ჩვენი დრო, რომ ჯან-მრთელს კაცს პატიოსნურის შრომით არ შეეძლოს თავის დარჩენა, თუკი ადამიანს შრომა მიაჩნია თავ-მოსაწონებელ საქმედ, თავის წმინდა მოვალეობად. მაგრამ ძნელიც ის არის, რომ ზოგნი ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობენ, როგორმე კისერი დააძვრინონ სწორედ ამ წმინდა მოვალეობას. ამისათვის ბევრი პირდაპირ ავაზაკად გადის შარა გზაზედ და სცარცვავს გამვლელ-გამომვლელს, ზოგი ქურდობს, ზოგი რასა სჩადის და ზოგი რას, ოღონდ-კი უშრომლად მოიპოვოს საზრდო. ამ ბოლოს დროს ხომ აიდგა ფეხი ერთ-გვარმა ავ-კაცობამ, რომელსაც «შანტაჟს» ეძახიან. შანტაჟს ეხლა ჰნახავთ არა თუ ქალაქებში, თვით სოფლებშიაც. შანტაჟის ძალა შიშია ნამუსისა და სახელის წახდენისა საზოგადოებაში. ესა-და-ეს მომეცი, თორემ ქურდობასა და ავაზაკობას მოგიგონებ და გიჩივლებო — იმუქრებიან ამ ხელობის კაცები და, თუ შენის თავის პატივი გაქვს, უარს ძნელად ეტყვი.

ხშირად მომხდარა, რომ ვინმე გამოჩენილი ყაჩაღი მჯდარა ციხეში, მაგრამ მაინც უცარცვავს ხალხი. როგორ უხერხებია ასეთი მოუხერხებელი საქმე?—მუქარით. რას დაემუქრებოდა შეკრული და შებოჭილი ყაჩაღი, რომელსაც ციხიდამ თითქო საშიში აღარა უნდა შეეძლოს-რა. მაგრამ ასეა, ბატონებო, რაკი ერთხელ-და-ერთხელ კაცი თავს გამოიმეტებს და სამუდამოდ ხელს აიღებს სინიდისზე, მერე ადვილად მიაგნებს უწმინდურს ხრიკებს სარჩოს მოსაპოვებლად. ამისთანა ყაჩაღებს ჰყავთ თავიანთი ავან-ჩავანი მეგობრები, რომელნიც იმათს სიტყვას ძირს არ დაუშვებენ. ამ მეგობრების პირით შეუთვლიდნენ ხან ერთსა და ხან მეორე მდიდარ ვაჭარს: ამა-და-ამ დროსათვის გამოჰკარ პარკში ამდენი და ამდენი თუმანი თეთრი ფული და გამომიგზავნე, თორემ მოწმებით დაგიმტკიცებ, რომ შენ ჩემთან ერთად ჰყაჩაღობდი ხოლმეო. ეცვლებოდა ფერი მდიდარს კაცსა, ხან ვის დაეკითხებოდა, ხან ვისა და, რა ჰნახავდა, რომ დრონი მეფობენ, რომ ძნელია თავის დახსნა შერცხვენისა და თვით სასჯელისაგანაც, გადიწერდა პირჯვარს, ახსენებდა ღმერთსა, მოჰხსნიდა ქისას პირსა, ამოილაგებდა დასახელებულ თუმნებსა და ჩაუგზავნიდა თავიდამ ხელ-აღებულ ყაჩაღსა. ავაზაკები დღესაც ამ სახით ბევრს დასწვენ და დაუფუფქვენ ხოლმე მართალს გულსა.

და რა ყაჩაღები! აკი ვამბობ, ჩვენს დროში ბევრმა ხელობად გარდაიქცია ის მოქმედება, რომელსაც შანტაჟი ჰქვიან. ან ჩაუვარდებათ ხელში რაიმე სათაკილო ბარათი შეძლებულის კაცისა, ან კვალს აიღებენ იმის რომელსამე დაფარულ საქციელზე, — და იშოვნა მოხერხებულმა სალახანამ ლუკმა პური: მოიტა ამდენი-და-ამდენი, თორემ ამ ბარათს ხვალვე გამოვაქვეყნებო...

ან ერთხელ და სამუდამოდ გამოისყიდის შეძლებული კაცი ამ სათაკილო ბარათსა, რომ არაფრის შიში აღარა ჰქონდეს, ან არა-და იკისრებს დრო-გამოშვებითს გადასახადს და ამით მაწანწალას გაუჩენს დაუშრეტელს წყაროს უჯაფოდ ცხოვრებისას.

როგორც ეტყობა, შანტაჟს კარგა მოზდილი მოედანი უჭირავს სხვა მრავალ გვარ ავ-კაცობათა შორის, და ვინც ამ სამარცხვინო ხელობას მისდევს, ღირსია შეუბრალებელის ზიზღისა. იმას არც ერთი რიგიანი კაცი აღარ იცნობს ადამიანად, იმას ამოითვალწუნებს საზოგადოება, ამოიღებს გულიდგან და, თუ გაჭირდა, ჩაჰქოლავს და ჩააქვავებს კიდეცა.

**

ამის გამო დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც თვალ-წინა გაქვს ვისიმე საქციელი და ჯერ ნამდვილად არ იცი, უტყუარი შანტაჟია ისა, თუ სხვა რაიმე შესაწყნარებელ საბუთით გამოწვეული. ვისმეზე სთქვა, რომ იგი შანტაჟს მისდევსო, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ საზოგადოების თვალში თავი მოსჭრა, შეარცხვინო, ლაფი დაასხა. თავის მოჭრა, შერცხვენა და ლაფის დასხმა ადვილი საქმე არ არის, და ვაი შენის სინიდისის ბრალი, თუ ასეთი სასჯელი მოიღე უდანაშაულო, უბრალო და მართალ ადამიანზედ.

სულ შვიდი-რვა დღის საქმე არ იქნება, რაც ერთს გაზეთში ამოვიკითხეთ, ვითომ ქ-ნს ოლიმპიადა ფონ-ციგლერს სწორედ ასეთი შანტაჟური საქმე განუზრახავს ბ-ნ პოლკოვნიკ ხან-ნახჩევანსკის წინააღმდეგო. ჩვენ არ ვასახელებთ გაზეთს მხოლოდ იმის გამო, რომ არავინ იფიქროს, ვითომც ამ ამბავს იმიტომ მოვკიდეთ ხელი, რომ რაიმე კამათობის ატეხა გვინდოდეს გაზეთის

...მ ან ეხლანდელს დასში ავი ...ისაგან გაირჩეს, ან სულ ახა... დასი შესდგეს. ძნელია, მარ...ლია, ახალის დასის შედგენა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, შეუძლებელი-კი არ არის. იქნება ამით არტისტიული ღირსება ცოტად თუ ბევრად მოაკლდეს ჩვენს სცენასა პირველ ხანში, მაგრამ ადამიანურს-კი უსათუოდ მოიმატებს სამუდამოდ და არა გვგონია, ამისათვის სამდურავი ვინმემ გამოაცხადოს. დრომდე არტისტიულ ღირსების მოკლებას ავიტანთ, როგორც იქნება, ოღონდ ადამიანურმა ღირსებამ დუღაბსავით შეჰკრას ჩვენი სცენა და მაგარს საფუძველზედ დაამყაროს. სრულად დაშლა-კი დასისა და გაუქმება ჩვენის სცენისა —თუნდაც დროებითად,—ღმერთ...აშოროს! ამას ქართველნი ...დღეში არ შეუნდობენ ეხ...დელს გამგეობას დრამატიულ ...ზოგადოებისას. ამისთანა არა...ნატურელს განზრახვას მხოლოდ ...აშინ უნდა მისცენ გზა, როცა სხვა ყოველივე ღონე და სახსარი უქმია და ამაო.

## ახალი ამბავი

*** 29 იანვარს ნიკო გელაძემ და ამხანაგებმა სატივის ზემოდამ, ყინულის ჭრის დროს, მტკვარში იპოვნეს ...რთი პატარა ზარბაზანი. სიგძე არშინ...ახევრამდე აქვს, სიმძიმე—ოც-და-ათ ...უთამდე. ზარბაზანს წყალში ჟანგი არ მიჰკარებია. ზერ-წარწერილი აქვს რუსულად: «ლუგანის ქარხნისა 1806 წელს».

*** პირველ თებერვლისათვის და...ნიშნულია კრება ტფილისის საქალა... საბჭოსი. სხვათა საყურადღებო ...საქმეთა შორის კვლავ იქნება ბაასი ...ასბოს აშენების თაობაზე.

*** სამშაბათს, 2 თებერვალს, თორმეტს საათზედ, ღედათა გიმნაზიის შენობაში საზოგადო კრება ექნებათ წევრებს ტფილისის მასწავლებელ ქალთა დამხმარებელის საზოგადოებისას. წაიკითხავენ წლიურ ანგარიშს, ილაპარაკებენ შესახებ სამკითხველოსა და საერთო სადგურების გამართვისა და სხვანი. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ პირდაპირ გამგეობა და მართვა ქართულის დრამატიულის დასისა ჩვენის თეატრის კომიტეტს მიუნდვია ბბ-ნ დ. ერისთავისა და ვ. სულხანიშვილისათვის. ბ-ნ ვ. თუმანიშვილს-კი რეჟისორობისათვის თავი დაუნებებია.

*** 27 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ბაზაზხანის ქუჩაში, ფაიტონი მე-449 №-რი გაჩქარებული მიდიოდა, მიეჯახა ტროტუარს და გადაბრუნდა. მეეტლე ძალიან მთვრალი იყო. მაღაზიის ნოქარებმა გაასწორეს ფაიტონი, შესვეს მთვრალი მეეტლე და გაისტუმრეს.

*** 28 იანვარს, ღამის ორ საათზე, ვიღაც გამვლელ ყმაწვილ კაცს თხუთმეტამდის ძაღლი დაესია მირზოევის ფაბრიკასთან. ბევრი ეცადა, როგორმე მოეგერებინა ძაღლები, მაგრამ ვერას გახდა. შემდეგ ამოიღო რევოლვერი და ორჯელ დასცალა. ძაღლები მოჰშორდნენ. იქვე 20 ნაბიჯზე, ფაბრიკის კარებ წინ, პოლიციელი იდგა, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყა რევოლვერის სროლაზე, არც-კი იკითხა—მოკლეს ვინმე თუ რა მოხდა.

*** 20 იანვარს ერწოს ხეობაში ძალიან მშვენიერი დარები იდგა. 21-ს რიცხვს უცბად მოიღრუბლა და საშინელი ქარები ასტყდა.

*** განჯა: ჩვენს სადგურს რკინის გზისას მეტად ცუდი წყალი აქვს. ამის გამო დიდად შევიწროებულნი არიან მსახურნი ამ სადგურისა. თანაც ჭაობის ციება გამუდმებულია. უკვე ექვსი კონდუქტორი გახდა ავად და მოკვდა. ნახევარზედ მომეტებული რიცხვი მოხელეთა შეუძლოდ არის და სამკურნალოში წვანან. სულ-კი 10 ვერსტზეა ამ სადგურიდამ მტკვარი და არც მაგრე ძვირად დაჯდება იქიდამ წყალის გამოყვანა.

*** დუშეთის მაზრა: გუდამაყარში მძვინვარებს საშინელი სენი, ეგრედ წოდებული ყელ-ჭირვება—ქუნთრუშა. ძრიელ ბევრი იხოცება ამ ჭირით, მაგრამ ჩვენი მშველელი არავინ არ გამოჩნდა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენის მაზრის ბ-ნს უფროსს ექიმი გამოეგზავნა გუდამაყარში და ეს ავი სენი წამლობით და დარიგებით, თუ სრულიად არა, ცოტათი მაინც შესუსტებულიყო.

*** ბათუმიდგან: აქ ორშაბათს ღამეს მოჰხდა შემდეგი საზიზღარი ამბავი. ერთის ბეგის, ა—ს, ქორწილში ორს ახალგაზდა ყმაწვილ კაცს ქეიფის შემდეგ მოუვიდათ უკმაყოფილება; ვახშმის შემდეგ ეს ორი ყმაწვილი და დანარჩენი სტუმრები დილის ოთხს საათზე გაემგზავრნენ თავ-თავიანთ ბინისაკენ. რამდენისამე ხნის შემდეგ ყმაწვილმა ა—მ უეცრად შეაღო კარი ქ-ის სადგომში და რაღაცა ლაპარაკის შემდეგ ჩხუბი მოუვიდათ. ამ ჩხუბის დასასრული ის იყო, რომ ა. აღმოჩნდა მძიმედ დაჭრილი მუცელში ხანჯლით. მეორე დღეს დაჭრილი წაიყვანეს სამხედრო საავადმყოფოში. ამბობენ, ვითომ ექიმებს მორჩენის იმედი აღარა აქვთ, რადგანაც საშინლად სისხლისაგან სულ დაცლილაო.

ბათუმში დაიჭირა მშვენიერი დარები; ამისთანა თბილი დღეები გაზაფხულზედაც სანატრელია. ჯერ აქ ყინვები არც-კი ყოფილა; იანვარმა ისე გაიარა, რომ თოვლი არ მოსულა. ძველი კაცები ამბობენ, რომ ამისთანა დარებს ჯერ არ მოესწრებიართო.

აქ ჩამოვიდა საექიმოდ რამდენიმე ავადმყოფი რუსეთიდგან და საქართველოდგანაც.

*** გაზ. «Нов. Обоз.»-ეს აცნობებენ, რომ ტფილისში კვლავ იჩინა თავი ყვავილმა და ხუნაგმა (დიფტერიტმა) ყმაწვილებში. ექიმები ძრიელა ბეჯითობენ ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში, მაგრამ ძნელი ის არისო, რომ მდაბიო ხალხი ერიდება ამისთანა სენის წამლობასა, რადგან ჰგონია, ვითომ ღვთისაგან მოვლენილიაო.

*** იმავ გაზეთს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდამ, რომ იქ გათავებულა ქალაქის თავის-არჩევანი. კენჭი უყრიათ ორის კანდიდატისათვის, ბბ-ნ ასათიანისა და ყაითმაზოვისათვის. პირველს ჰრგებია 18 თეთრი კენჭი და 16 შავი. ხოლო მეორეს—18 თეთრი და 17 შავი კენჭი, ასე რომ ქალაქის თავად კვლავ ამოურჩევიათ ბ-ნი ასათიანი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. აწყვერი.** ეს ისტორიაში ცნობილი სოფელი ახალციხიდამ აღმოსავლეთითა სძევს, ოცის ვერსტის მანძილზე. აწყვერი ჟამთა ვითარებამ ორად გაჰყო. მტკვრის გაღმა ნახევარი სწორეთ ის აწყვერია, რომელსაც ისტორია იხსენიებს. დღეს იმის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ [illegible] სომხები და ურიებიც. აწყვერელებს კარგად მოწყობილი სასოფლო სკოლა აქვთ. ამ სკოლაში სამოცამდე ყმაწვილი სწავლობს, ამათ შორის მხოლოდ ოთხიოდ ქართველი მოწაფეა. როგორც ამბობენ აწყვერელები, ამ სკოლის საქმე ეხლა უკეთ მიდის, ვიდრე აქამდე მიდიოდაო.

მტკვრის გამოღმა აწყვერი-კი ამ მოკლე ხანშია გაშენებული. ამ მხარეს თითქმის მარტო დუქან-ბაზარია და ფოსტის სადგური. ხაშურ-ახალციხის შარა გზა სწორეთ გვერდით უვლის აწყვერს. ამ გზით მიმავალ-მომავალი ეტლი აუცილებლად უნდა გაჩერდეს აწყვერში. აქ უვლა მეეტლეს, გარდა ფოსტისას, თავისი განსაკუთრებული ბინა აქვს, სადაც ძალ-უნებურად იმისი მგზავრიც უნდა გაჩერდეს რამდენსამე საათს და ხშირად მთელი ღამეც უნდა გაათიოს დუქანში. მაგრამ ვაი იმ გათიებას!.. რიგიანი საწოლი ოთახები აქ არსად მოიპოვება. ოთახებს ვინა სჩივის, ნეტა ღვთისა და თქვენის წყალობით ტახტები მაინც ედგათ. დაღალულ-დაწვალებული მგზავრი უნდა დაწვეს იმ გაქონილს მაგიდაზე, რომელზედაც დღისით სადილს მიირთმევენ მგზავრები, ან-და იმ გრძელს სკამზე, რომელიც ამ მაგიდას უდგას. ხათა ის არის, რომ ხშირად ამ მაგიდისა და სკამების «კაკანსიებიც» არ არის ხოლმე...

სანოვაგის სიძვირეზე ხომ რაღა სთქვას კაცმა!.. სწორედ სცარცვავენ აქ. აწყვერი ხომ განთქმულია მთელს საქართველოში ახალის თევზის სიუხვით და გემოთი. წარმოიდგინეთ, ახალი თევზიც-კი ძვირია. ეს თევზი ახალციხეში ჩამოაქვთ, გირვანქა სამ შაურად—აბაზად იყიდება და აწყვერში-კი ექვსსა და შვიდ შაურს ნაკლებ არ აძლევენ. ხელის ოდენა შურს, რომელიც ნახევარს გირვანქას ვერ აიწონს, შაურ ნაკლებ არ მოგცემენ. რა გაეწყობა, უთავდარიგოდ მგზავრმა უნდა იყიდოს ამ ფასად.

[illegible] ხიდით. ბეწვის ხიდს რომ იტყვიან, აბა ამ ხიდზეა აი ნათქვამი!.. ჰხედავთ და გიკვირთ, თუ რომელმა არხიტექტორმა შეუდგინა აწყვერელებს ამ ხიდის გეგმაო?!. ქრისტიანს კაცს უზიარებლად არ გაუვლია.

---

...აღმდეგ. ჩვენ საკმაოდ გამოცდილნი ვართ გაზეთის საქმეში და ვიცით, რომ ხშირად შეიძლება არსაპატიებელ მოქმედებაში გაერიოს გაზეთი სრულებით განუზრახველად, შეცდომით. ბევრჯელ, შეცდომას რომ გაიგებ, იტაცებ თმაში ხელსა, ჰნანობ, გწყინს, მაგრამ რაღა დროსია—სიტყვა ითქვა, საზოგადოებამ აცქვიტა ყურები, დაიხვია ხელზე, და ამით თითქმის ყველაფერი მორჩა, გათავდა. სიტყვის მობრუნება თითქმის შეუძლებელია, ამიტომ რომ საზოგადოება ცუდს უფრო მალე დაიჯერებს კაცისას, ვიდრე კარგსა. რაკი ერთხელ ითქვა ცუდი, საზოგადოებამ დაიჯერა, შემდეგ ქვიშითაც ველარ გადაიყვან ჩაჰდეულ ლაქას, ბევრი ბოდიშიც რომ იხადო, ბევრიც რომ ალამაზო და ასუფთაო. მეტადრე ძნელია გათეთრება, როდესაც ამ სიტყვას წარმოსთქვამს ვისზედმე გაზეთი ანუ ჟურნალი. ყოვლად პატიოსან კაცზედა სთქვი გაზეთში, რომ იმან ჯიბიდამ ქისა ამომაცალაო, და შემდეგ ბოდიში მოიხადე. ღმერთმა შენც შეგარცხვინა, შენი ბოდიშიცაო!—გეტყვის პატიოსანი კაცი და მართალსაც გეტყვის.

ამიტომ ბოდიში-კი არა, დიდი თვალ-გაფაციცებაა საჭირო, რომ საბოდიშოდ არ გახდეს საქმე, მტკიცედ იყოს დაცული ადამიანის ღირსება და მხოლოდ მაშინ გაჰხადოს იგი თითით საჩვენებელი, როდესაც უტყუარი საბუთები თითონ იღაღადებენ იმის უადამიანო საქციელზედ.

ჰო, მივუბრუნდეთ ჩვენს სიტყვას, რომ ერთი რუსული გაზეთი გვატყობინებდა, ვითომც ქ-ნს ფონ-ციგლერს შანტაჟით უნდოდა დაერბია ბ-ნი პოლკოვნიკი ხან-ნახჩევანსკი, მაგრამ თემიდას სიმართლემ ძირს ჩამოაშვებინა ხმალი ბოროტებისა და მართალმა კაცმა გაიმარჯვაო. ჩვენ არ ვიცოდით საქმის გარემოება, სიამოვნებით დავიჯერეთ ფემიდას გამარჯვება და გულში ჩავისახეთ შესაფერი ზიზღი იმ ქალის მიმართ, რომელსაც ასეთი ავ-ზნეობა ჰბრალდებოდა. ამით გავათავეთ საქმე და გულშივე გადავწყვიტეთ, რომ რაც უნდა კარგმა გარემოებამ შეგვახვედროს ცხოვრების გზაზედ ქ-ნი ფონ-ციგლერი, მაინც ვერიდოთ და ახლო არ გავიკაროთ იგიო.

**

ამავე დროს სრული ჩვენი თანაგრძნობა მივმართეთ ბ-ნს პოლკოვნიკს, რომელსაც ვითომ მახეს უგებდნენ ცხოვრების ოღრო-ჩოღროებში და უნდოდათ უმიზეზოდ დაეცალიერებინათ იმისი ჯიბე.

ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანეთ ხსენებულის შანტაჟის ამბისაგან და დარწმუნებულნიც ვიყავით, რომ ამით უნდა გათავებულიყო საქმე. ან-კი რის მოლოდინი-ღა უნდა გვქონოდა, გარდა იმისა, რომ დაწვრილებით შეგვატყობინებენ, რაში იყო საქმე, რით აშინებდნენ საბრალო კაცსა, რასა სთხოვდნენ და როგორ მოახერხა და აიცდინა თავიდამ მისთვის დაგებული მახე. მეტი არაფერი. მაინც რა საფიქრებელი იქნებოდა, რომ ქ-ნი ოლიმპიადა ფონ-ციგლერი ადგებოდა და გამოაცხადებდა საქვეყნოდ, რომ იმისი შანტაჟი კაიკაცობაა და არა შანტაჟიო. ეს იმას ეგვანებოდა, რომ ჯიბგირს ასატურას, რომელსაცა სტაცეს საყელოში, როდესაც უცნობს კაცს ჩაუყო ჯიბეში ხელი და გატენილი ქისა ამოაცალა,—ჰო, ასატურას-მეთქი სწყენოდა, რომ იმას სამართლიანი სახელი—ჯიბგირი დაუძახეს, და ეთქვა, რომ ჩემი საქციელი ჯიბგირობა არ არისო.

ერთის სიტყვით, როდესაც ვისიმე საქციელი ხელთა გვაქვს და მთლიანად ვიცით იმისი სიგრძე-სიგანე, იქ სახელ-წოდება ჩვენი საქმეა და ტყუილადაც შესწუხდებიან ამ საქციელის ჩამდენნი, თუ მოიწადინებენ სახელის შეცვლასა და გათეთრებას. იმათი წადილი სრულებით უნაყოფო და ბევრჯელ სასაცილოც არის ხოლმე. ამიტომ ჩვენ მხოლოდ სიცილის გულისათვის გადავათვალიერეთ წერილი, რომელსაც შევხვდით იმავ გაზეთში რამდენსამე დღის შემდეგ და რომელსაც ბოლოში ეწერა—ოლიმპიადა ფონ-ციგლერი. ჩვენა ვფიქრობდით: აცა, ერთი ვნახოთ, რა ხრიკებს ეტანება ეს ქალბატონი და რითი უნდა აგვიხვიოს თვალებიო.

წავიკითხეთ წერილი ერთხელ, წავიკითხეთ მეორედ და ჩვენს თვალებს არ ვუჯერებდით. არა თუ შანტაჟის კვალი დაგვეკარგა მხედველობიდამ, არამედ, პირ-იქით, ერთიან გამოიცვალა ჩვენი აზრი, ჩვენი გრძნობანი შესახებ ამ საქმისა და თანაც ცოტათი ფარდაც აეხადა ერთს საშინელს დრამას, ტანჯვასა და მწუხარებას. რადგანაც ეს დრამა მხოლოდ გაკვრით არის ნაჩვენები, ამიტომ ფანტაზიას მიეცა უფრო ფართო მოედანი და გულ-საკლავი წარმოდგენა-წარმოდგენაზე მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს ტვინსა და გულს.

არაო,—სწერდა ქ-ნი ფონ-ციგლერი, რის შანტაჟიო, რა ფულის დატყუების მახეო, როდესაც ბ-ნი ხან-ნახჩევანსკი პირ-იქით ცდილობდა, რაკი იცოდა ჩვენი გაჭირება, ფულს დავეჯერებოდით, მაგრამ ჩვენ ზიზღით ვიშორებდით თავიდამ ასეთს სართსა და ძღვენსაო. იმან კარგად იცოდა, რომ ჩვენ ფულის გულისათვის არ დავიწყეთ საჩივარი იმის წინააღმდეგაო. ან-კი საიდამ გვექნებოდა აზრი შანტაჟით ფულის დატყუებისა, როდესაც ჩვენ ყველაზედ კარგა ვიცოდით, რამდენად განდიდებული და განზვიადებული იყო ბ-ნ ნახჩევანსკის შეძლებაო. იმისი ავლა-დიდება სრულებითაც ისეთი არ არის, რომ სდუღდეს და გადმოდიოდეს. არა ერთხელა და ორჯელ იქამდისაც მისულა ბ-ნ ნახჩევანსკის საქმე, რომ შინაური ავეჯიც-კი დასაგირავებლად გაუტანიაო.

კიდევ ცოტა ხანმა გაიარა და ახლა წავიკითხეთ თვით ბ-ნ ექსან ხან-ნახჩევანსკის წერილი, სადაც ბ-ნი პოლკოვნიკი ამბობს, რომ მე სრულებითაც შანტაჟობას არა ვწამებ ფონ-ციგლერსაო, ხოლო იმასაც-კი ვიტყვი, რომ ჩემ დღეში არავისთან დამიკვეხნია—დიდი შეძლების პატრონი ვარო, მაგრამ მაინც, ღვთისა და ხელმწიფის წყალობით, არცა-რა ვინ და არცა-რა მიჭირს-რაო და არც ისეთი საქმე დამმართვია, რომ ნივთები დამეგირავებინა სადმეო.

**

ადამიანს, მერე ისიც ქალს, დაჰბრალდეს ავ-ზნეობა, მოეჭრას საქვეყნოდ თავი და მერე-კი აღმოჩნდეს, რომ ავ-ზნეობა სრულებით სხვაგანა ყოფილიყოს საძებარი. ეს ნამეტანია, თქვენმა მზემ. გეცოდინებათ ქართული ზღაპარი ერთს მატყუარა მონადირეზედ. მოვდიოდიო—ეთქვა ამ მონადირეს—დილა-ადრიან ჩვენს სერზე. ხელში თოფი მეჭირა და ნადირს ვეძებდიო. თვალები ამომილამდა, აღარას წავაწყდიო. მაგრამ აგერ ცხვირს დამაცემინა და ამ ხმაურობაზე უცებ ჯაგებიდამ ოცი კურდღელი ერთად გამოვარდა და გაიქსაქსნენ აქეთ-იქითაო. ისე გამიკვირდა, რომ თოფის ფეხზედ აყენებაც ველარ მოვახერხე, სულ დავიბნიე და ერთიც ვერ მოვკალიო.

მსმენელთ ეჭვი აიღეს—ოცი კურდღელი არ იქნებოდაო. მატყუარამ ცოტა უკან დაიწია: იქნება ოცი-კი არა-და, თხუთმეტი-კი უსიკვდილოდ

ლება ამ ხიდზე!.. მთელს სიგრძეზე გვერდსავით დახლაკნილია, მოაჯირი არა აქვს, ალაგ-ალაგ ფიცრები ჩატეხილია, ზოგან ჩატეხილებს უშველებელი ქვები აფარია, რომ მგზავრს ფეხი არ ჩაუვარდეს, ასე რომ თუ მართლა გადარჩით და ფეხი არ ჩაგივარდათ, ქვას მაინც წამოჰკრავთ ფეხს და, ღმერთმა-კი დაგიფაროთ, მაგრამ ცხვირს გაიტეხთ. ამისთანა განსაცდელის ფიქრით უნდა გაიაროთ თითქმის ოც-და-ხუთის საჟენის სიგრძე ხიდი! იშვიათი არა ყოფილა ამ ხიდზე თავ-ფეხის მომტვრევა. მით უფრო საკვირველია, რომ აქამდე ყურადღებას არ აქცევენ და არა ჰფიქრობენ ამ ხიდის შესწორებას.

მგზავრები უჩივიან გზის საბაჟო მოხელეთა ქცევას. გამოივლის რომელიმე ეტლი თუ არა, საბაჟოს მცველი ზარით აცნობებს ბ-ნ ზედამხედველს, რომ კვიტანცია მისცეს. დაჰკრავს ზარს ერთხელ, ორჯელ, ხუთჯერ... ბ-ნი ზედამხედველი არა სჩანს. დასასრულ შედის მცველი სახლში და მოახსენებს. მანამ კვიტანციას მოგცემენ, თითქმის ორი საათი უნდა იყინებოდე და იფიჩხებოდე ლოდინში. ცდაში გაბეზრებული მგზავრი ხურდასაც აღარ მოსთხოვს, მიატოვებს იქა, ოღონდ-კი ჩქარა გაუშვან თავის გზაზედ.

განო ათაბაგი

**გორი**, იანვრის 28-ს. 24-ს იანვარს გორის მაზრაში მოხდა საზიზღარი ამბავი. აი ეს ამბავი: კარალეთში მცხოვრებელს გლეხს უთხოვნია ოთარშენში მცხოვრებლის გლეხის ქალი. სამეფო წამოსულა რამდენისამე კაციო ჯვარის დასაწერად და პატარძლის წასაყვანად. ჯვარის-წერა გათავებულა. ურემი შეუბამთ და პატარძალი ჩაუსვამთ წასაყვანად. ამ დროს მაყრებს უთხოვნიათ თავად [illegible]ორგი ა—ისათვის, რომელიც [illegible]ოს იქვე ახლო ყოფილა: «კნიაზო, [illegible]მობრძანდი დაგვილოცეო».

«როგორ თუ გამიბედეთ, თქვენთან ღვინის სმაო!», დაუწყია გინება. რასაკვირველია, მაყრები გაჩუმებულან, რადგანაც უნდოდათ თავიდგან უბედურება აეცილებინათ. ამიტომაც სიტყვაც არ გაუციათ, და დედოფალი წაუყვანიათ და წასულან. მხოლოდ ოთხი მაყარი ჩამორჩომილა უკან ბახუსის პატივსაცემლად. ცოტა ხნის შემდეგ ესენიც შესდგომიან თავიანთ გზასა, სიჩქარით წასულან, რომ მისწევნოდნენ დედოფლის ურემს. ლიახვთან რომ მისულან, წინ დახვედრიათ ვილასიც ცხვარი. ცხვარი შემფრთხალა ამ კაცების დანახვაზედ. აი ამაზედ ზემოდ მოხსენებულს ა—ს დაუძახნია ბიჭებისათვის, გამოსდგომია ეს ა—ი შეიარაღებულის კაცებით და მოსწევია ღვინო ნასვამ მაყრებს. ორი ამათგანი სოფ. თედოწმინდისაკენ გაქცეულა, ორი-კი აქვე დაუჭერიათ. იმდენი უცემიათ ჩომბახებით, რომ საბრალოებს თითქმის სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდათ. მერე აულიათ და ლიახვში ჩაუყრიათ. იმ ბოროტ კაცებს უფიქრნიათ: ესენი ხომ დაიხოცნენ, აბა ახლა ის ორი კაცი რომ გაგვექცა, დავიჭიროთ და ისინიც ამათს გზას გამოვუყენოთო. უფიქრიათ ასე და კიდევაც ცხენებით გამოსდგომიან. ამ დროს ერთი მადლიანი კაცი წამოსდგომია ლიახვში ჩაყრილს კაცებს, რომლებიც თურმე საცოდავად ეყარნენ ცივ წყალში უძრავად. ის მადლიანი კაცი მაშინვე ტანისამოსიანად შევარდნილა ლიახვში, ჯერ ერთი გამოუტანია რიყეზედ და მერე მეორე; ამას მგზავრები მიჰშველებიან, რომლებსაც თავიანთი მშრალი ტანისამოსი ჩაუცმევიათ, და ცოცხალ-მკვდარნი მიუტანიათ ურმით კარალეთში.

ახლა საქმე მეორებისაა: მოსწევიან იმ ორს კაცსაც. მაშინვე დაუხლიათ რევოლვერები, ერთს ტყვია მოჰხვედრია კანჭში, მეორეს—წელში. მერე მისდგომიან ხანჯლებით, საზიზღრად დაუჭრიათ თავ-პირში და წამოსულან სიმღერით. ესენიც მგზავრებს ურმით აუტანიათ ცოცხალ-მკვდარი კარალეთში. ამბობენ, ერთი კვდებაო, მეორე იქმნება მორჩეს, მაგრამ ძალიან დაშავებული-კია, და ორი მორჩებაო. დღეს, 28 იანვარს, წავიდა გორის გამომძიებელი ექიმითურთ ამ საქმის გამოსაძიებლად.

თ. ა—სათვის ამ გვარი ავ-კაცობა პირველი არ არის. ამ რამდენისამე თთვის წინად ამავ თავად ა—მა დაჩეხა რამდენიმე ტინის ხიდის მცხოვრები და მამასახლისიც შიგ ჩაატანა. მამასახლისმა იჩივლა მთავრობის წინაშე და მთავრობამაც გამოიწვია რამდენიმე ამ ამბის მცოდნე მოწამე. ა—ს შეეთვალნა მოწმებისათვის: არ უმოწმოთ, თორემ დაუჩეხავს არავის გაგიშვებთ, სადაც შევხვდებითო. მოწმებმა რაც იცოდნენ, ფიცის ქვეშ აჩვენეს. ა—ი გადაემტერა ჯავრის ამოსაყრელად და ერთს მოწამეს, ამ ორის კვირის წინად, მიუხტა შეიარაღებულის კაცით, შეუვარდა სახლში ამოღებულის ხმლით; გლეხის ცოლ-შვილმა შეჰქმნა ერთი კივილ-წივილი, გლეხი-კაცი გამოვარდა მეზობლების შესატყობინებლად. თავადი ა—ი გარედ, უკან დაედევნა რევოლვერით; რომ წამოეწია, დააცემინა, მაგრამ რევოლვერი, გლეხ-კაცის ბედზედ, არ გავარდა. ამ გვარად შევარდა გლეხი-კაცი მეზობლის სახლში და მოუკეტეს კარი; სოფელმა რომ დაინახა ამ გვარი საქციელი თავადისა, კეტებით გამოუდგნენ, მაგრამ ცხენზედ იჯდა და რალას მოეწევოდნენ. ამ საქმეზედაც პროკურორთან არის გაგზავნილი ცნობა. მაგრამ კიდევ რამდენი რამ ჩაუდენია ამ ა—ს, ვინ მოსთვლის!

კარალელი გლეხი

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა ვუთხრათ ქ. ოზურგეთში მოვაჭრეს, ბ-ნს გოწია ჩითაიას ძეს თავართქილაძეს, რომელმაც წიგნები შემოსწირა ბასილეთის სკოლას 35 ცალი და ბახვისას—25 ცალი. ვისურვებთ, სხვებსაც მიებაძოს ბ-ნ თავართქილაძისათვის და გახშირებულიყოს ამ გვარი შეწირულება ჩვენს სასოფლო სკოლებში, რომლებიც ძლიან ღარიბად არიან საკითხავ წიგნებით და სახელმძღვანელოებით.

ბახვის სკოლის მასწავლებელი
გრიგოლ შარაშიძე

ბასილეთის სკოლის მასწავლებელი
გერასიმე ქიქოძე.

### II

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთ «ივერიის» საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს შაქრო კლეიხერს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს სკოლას რუკა მთელის ქვეყნის ნაწილებისა.

გიორგი-წმინდის სკოლის მასწავლებელი
ილიკო მენთეშაშვილი

## უცხოეთი

**გერმანია.** გაზეთი «Wesser Zeitung»-ი ამბობს, რომ გერმანიის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნულ იქმნება მეფე საქსონიისა.

სამხედრო უწყება, გარდა იმ სესხისა, რომელიც ამას წინად მიეცა, ჰთხოულობს კიდევ დამატებითის სესხს ციხესიმაგრეების გასამაგრებლად აღმოსავლეთის საზღვარზე.

სამხედრო უწყება ჰყიდულობს ცხენებს ბელგიაში.

გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიაში დაუსრულებელი ლაპარაკი აქვთ იმის თაობაზედ, რომ რუსეთი თან-და-თან ამძლიერებს თავის მხედრობასაო. «ამ მოკლე ხანშიო, ამბობს გაზეთი «Neue Freie Presse», გერმანია და ავსტრი-ვენგრია ვალდებულნი იქმნებიან ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ რუსეთი ჰგზავნის საზღვრებისაკენ ჯარებსა. ევროპის სახელმწიფოებმა უნდა იხმარონ ყოველივე ღონის-ძიება, რათა თავიდგან აიცილონ მოსალოდნელი განსაცდელი...

**ავსტრია.** ავსტრიის მწერლობა იმ აზრისაა, რომ შეუძლებელია მშვიდობიანად და მშვიდად დასრულდეს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობაო. «დღევანდელი მდგომარეობაო, ამბობს გაზეთი «Wien. Tagebl.»-ი, დიდხანს ვერ გასტანსო.»

ვენიდგანა სწერენ გაზეთს «Standards»-ს: სამხედრო მთავრობა სთხოვს მართებლობას, რომ კანონკიმ მისცეს საშუალება თავისუფლად იმოქმედოს სახელმწიფოს დასაცველადაო».

## წვრილი ამბები

— აი ბარონ გირშის ებრაელთა სასარგებლოდ შეწირულ ფულზე კიდევ რას ამბობენ ვენგრიის გაზეთები. ბარონ გირშმა ასი-კი არა, ას ორმოც-დაათი მილიონი შესწირა ებრაელთა. ამასთან ეს რიცხვი ასე უნდა განაწილდესო: 50 მილიონი რუსეთის ებრაელთ უნდა მიეცეთ, ამდენივე ოსმალეთის ებრაელთ და 50 მილიონიც ვენგრიისა, გალიციისა და რუმინიის ებრაელთ.

— ტურინსა, გენუასა, პიზასა და პალერმოში დაუკეტიათ უნივერსიტეტები სტუდენტთა აშლისა გამო.

— ლუკასს, რომელმაც დამბაჩა ესროლა ლუიზა მიშელს, გაზეთ «L'Intransigeant»-ში დაუბეჭდია წერილი და სთხოვს ლუიზა მიშელს, რომ მაპატიოს ის დანაშაული, რომელიც რო-

---

იქნებოდაო. არც ეს დაუჯერეს. მონადირე თან-და-თან ძირს ჩამოდიოდა. ბოლოსა სთქვა, რომ სწორედ ერთი კურდღელი იყო და რაკი ხან აქეთ გარბოდა და ხან იქით, ხან დაიმალებოდა და ხან გამოჩნდებოდა, ამიტომ მე ბევრად მეჩვენაო. როცა ამ ერთს კურდღელზედაც ეჭვი გამოუცხადეს, მ-შინ-კი აღიარა: რა ვიცი, რაღაცა-კი აფაჩუნებდა და კურდღელი იყო თუ ეშმაკი, ნამდვილად ვერ გავიგეო.

როგორც ეტყობა, ქ-ნ ფონ-ციგლერის საქმის ვითარებას, ბოლოს აქაც გამოჩნდება, რომ არა თუ მარტო შანტაჟის დაბრალებაზე აიღებენ ხელსა, იქნება სხვა მცირე დანაშაულობაც-კი უარი ჰყონ. მაგრამ საქმე ამაში აღარ არის ეხლა. შემდეგ ამათის წერილებისა სრულებით სხვა საკითხავი, სხვა საგანი გამოუჩნდა საზოგადოებას, და მიზეზიც იმ პირბადის ახდაა, რომელმაც დაგვანახვა ერთი კუთხე დრამისა, რომელზედაც ასე მიკიბ-მოკიბვითა ლაპარაკობენ და სულაც რომ ხმა არ ამოეღოთ, ისა სჯობდა, ამიტომ-რომ გაზეთების მკითხველს, ვინ იცის, რა აზრი არ ებადება თავში ამის გამო. ქ-ნი ფონ-ციგლერი პირდაპირ ასახელებს თავის საჩივარს, ოლო განუმარტებლივ. ბ-ნი პოლონიკიც ასახელებს, მაგრამ ჰფიქრობს, რომ ამისთანა «აზიზს საქმეზედ» ლაპარაკი გაზეთში უადგილო მგონიაო.

რადა ბატონო, უადგილო რად არის? რასაკვირველია, ჯერ კარგი იყო, რომ ამისთანა საქმე არ მომხდარიყო. რაკი მოჰხდა, რად მოიქცნენ ისე, რომ საქმე საზოგადოების წინაშე გამოიფინა და ამით უფრო მძიმე სვე-ბედი დაატყდა თავზედ არამც თუ ერთსა და ორს, არამედ რამდენსამე ადამიანს, რომელნიც გახდნენ მსხვერპლად ამ უბედურებისა. რაკი ეს საქმე გაზეთით გაიგო მთელმა საზოგადოებამ, ეხლა ჩვენ უარეს დანაშაულობად მიგვაჩნია საქმის ჩაფუჩეჩება. ეხლა ან უნდა სულ ერთიან მოეწმინდოთ ცა უბედურებისაგან დაჩაგრულთ და გამთელდეს ამათი გატეხილი გული, შეატყობინონ ეს ამბავი ქვეყანასა და კილვა-ძრახვის აშლილ მადას ბოლო მოეღოს,—ან არა და, დაწერილებით გამოამჟღავნონ მართალი ვითარება საქმისა, რომ შესაფერის საწყაოთი მიეწყოს ყველას, ვინც როგორი მონაწილეა ამ უბედურებაში.

**

ჩვენ ასე ვფიქრობთ და გვგონია, რომ ასეც უნდა მოხდეს. და ეხლა-კი გავუზიარებთ მკითხველებს, რაც გაზეთებიდამ ვიცით ამ უბედურებისა და ან რაშიაც ყოფილა საქმე.

ქ-ნს ოლიმპიადა ფონ-ციგლერს, როგორც იმის წერილიდამ სჩანს, ჰყოლია ქალი-შვილი. ბ-ნი ხან-ნახჩევანსკი თურმე ძრიელ დაახლოვებით იცნობდა ამ ქალსა, ისე დაახლოვებით, რომ ქალსა და იმის შორის ერთს დროს სიყვარულიც ჩამოვარდნილა.

შეყვარებულთ მისცემია შვილები. მერე?.. მერე ისა, რომ შვილები უკანონოდ შობილნი არიან, ფონ-ციგლერის ქალი დღესაც დაუქორწინებელია და ბ-ნი ხან ნახჩევანსკი კი... მაგრამ ამაზედ ლაპარაკი თვით ქ-ნ ოლიმპიადა ფონ-ციგლერისას დავაცადოთ:

«მე და ჩემმა ქალმა იმიტომ დავიწყეთ საჩივარი წინააღმდეგ ბ-ნ ხან-ნახჩევანსკისა, რომ სასამართლოს შემწეობით მაინც შევასრულებინოთ მისი დანაპირები. ის მუდამ გვარწმუნებდა, რომ ჯვარს დავიწერ შენს ქალზედაო. არ დაიწერა ჯვარი და ამ სახით წაართვა სახელი და ნამუსი ჩემს ქალსა. აი ჩვენი ვაება დღეს ამაშია. ცილსა გვწამებენ, ვითომც ფულის დატყუება გვდომებოდეს, მაგრამ ამისთანა ცილის წამების შიშით ვერ ავვაღებინებენ ხელსა ჩვენს სამართლიან საჩივარზედ. თუმცა-კი საშინელი დრო ამოურჩევიათ ასეთის ცილისათვის: აგერ სტოლზე გაწოლილი ჰყავს ჩემს ქალს, უბედურს დედას, მკვდარი შვილი, და ამ დროს მიცვალებულის მამა ქვეყანას შესჩივის არა შვილის დაკარგვას, არამედ იმასა, რომ ძალლი მომიწამლესო. ამავე დროს გაზეთით ეუბნებიან გამწვავებულს ქალსა, რომ შენის საქმროსათვის იმიტომ აგიტეხია საჩივარი, ფულების დატყუება გინდაო...»

ასეთი უმგზავსობა ზღაპარი გვგონებოდათ, რომ ვისმეს ეთქვა, მაგრამ როდესაც თვით უბედურნი მსხვერპლნი გიამბობენ გამწარებით, მაშინ სწორედ აღარ იცი საზღვარი, თუ სადამდის შეუძლიან კაცს უაზროდ, უფიქრელად, წინ-დაუხედავად ადამიანის ღირსების ლაფში ჩაგდება და ზედ შედგომა!..

იქ, ქალის სახლში, ასეთი სურათია...

ამავე დროს ბ-ნი ექსან ხან-ნახჩევანსკი პოლემიკას უწერს ქ-ნს ფონ-ციგლერსა და როგორ პოლემიკას: «განა საფიქრებელია, რომ კაცს, რომელსაც ძაღლიც-კი უყვარს, არ ეწუხებოდეს შვილის დაკარგვა, თუ-კი იმას მისცემდნენ ნებასა და მწუხარებას გამოათქმევინებდნენო!»

არ გეცოდებათ საწყალი მამა, რომელსაც ნებას არ აძლევენ, რომ გამოთქვას თავისი მწუხარება შვილის დაკარგვის გამო? ნუ თუ მართლა არ უნდა უყვარდეს საკუთარი შვილი კაცსა, რომელიც «შედის პირუტყვთა მდგომარეობაშიაც-კი». ეს საშინელი ჭორია, ცილის-წამებაა!.. უშლიან, ხელს უკრავენ, სახლში არ უშვებენ, განზე უდგებიან. ვინა?—ფონ-ციგლერები რომელნიც ეხვეწებიან—ჯვარი დაიწერეო!.. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

რასაკვირველიაო, — განაგრძობს ბ-ნი ნახჩევანსკი—ბევრს რასმეს დამაბრალებენ, იქნება თვით ბოლგარიის არეულობაც მე დამაბრალონო, მაგრამ რაც აქამდის გაიტანეს, ახლაც იმას გაიტანენო, და თუ ქალზე ჯვარს არ ვიწერ, ეგ მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი სარწმუნოება ნებას არ მაძლევსო.

ეს-კი, სწორე მოგახსენოთ, თითქო საბუთიანს მიზეზსა ჰგავს, მაგრამ რაღა მაშინ მოაგონდათ სარწმუნოება, როდესაც საქმე ქორწინებაზედ მიდგა. რატომ წინად არ იფიქრეს ამაზედ.

დღემდის ამის მეტი არა ვიცით-რა საქმის გარემოებისა და მეტსაც ვერას ვიტყვით. მოვიცადოთ და ვნახავთ, რითი გათავდება ეს შემაძრწუნებელი ამბავი. რასაკვირველია, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლო ჯეროვანად გამოიკვლევს და შეიტყობს, ამ უბედურებაში ვინ მართალია და ვინ მტყუანი; თანაც თავის სამართლიან განაჩენით მართალსა და მტყუანს ისეთს გზას აჩვენებს, რომ პირველი ცოტათი მაინც დაკმაყოფილდეს და მეორემ თავის სინიდისის წინაშე აღიაროს—«ჰკვისა მჭირსო».

მაგრამ რას უზამთ ამ ცილის წამებას, ვითომც შანტაჟისათვის მოეკიდოთ ხელი ქქ-ნ ფონ-ციგლერებს. ამისთანა დაუმსახურებელ ლაქას რითი ამოიღებთ უდანაშაულო ადამიანის სახელიდგან?!..

აი საფიქრებელი, რომელიც მუდამ თვალ-წინ უნდა ჰქონდეს ყოველ კერძო კაცსა და ნამეტნავად გაზეთს.

სანო

ცა ჩავიდინე, სრულს გონებაზე არ ვიყავი. გთხოვ, სასამართლოში გამომეხარჩლო, თუ ჩემის არა, ჩემის ცოლშვილის სიბრალულით მაინცაო.

— პაპის კამერდინერი ვერდეცი სამართალში მიუციათ, რადგან ფარფორის ჭურჭელი დაუმტვრევია, ის ჭურჭელი, რომელსაც პაპი ჴხმარობდა თურმე თავის საიუბილეიო დღესასწაულზედ. კამერდინერი ასე იმიტომ მოქცეულა, რომ მდაბიო ხალხისათვის მიეყიდნა ჭურჭლის ნაჭრები. როცა ამ მსახურის სახლი გაუსინჯავთ, 15,000 მან. ფული უპოვნიათ.

— გილდესგეიმერის საჴიგიენო საზოგადოებას თხოვნა მიურთმევია რეიხსტაგისათვის, რომ ბაჟი იქმნეს შემოღებული კორსეტებსა და ტიურნიურებზედ.

— მადრიდში გადამწვარა თეატრი «Variété».

— ორს ტყვიაში, რომელიც ლუიზა მიშელს მოჴხვდა, ერთი ამ ქალის შლიაპაში უპოვნიათ. ლუიზას ეს ტყვია როშფორისათვის უჩუქებია სახსოვრად. ლუკასის გარეში განასამართლებენ ნაფიც მსაჯულებით. ლუკასის ვექილობა, დამნაშავის თხოვნით, უკისრნია ლაგერს, რომელსაც განუზრახავს დაამტკიცოს, რომ ჴიპნოტით იყო შეპყრობილი დამნაშავე იმ დროს, როცა ლუიზა მიშელს ესროლაო.

— იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს, რომ უფრო ადამიანური და სუბუქი საშუალება მოიგონოს დამნაშავეთა სიკვდილით დასასჯელად, მიუმართავს ედისონისათვის და რჩევა უკითხავს: რას იტყვით, რომ ამ შემთხვევაში ელექტრონი გამოვიყენოთო. ედისონს უპასუხნია: «მე წინააღმდეგი ვარ სიკვდილით დასჯისა და ამიტომაც არ მინდა რჩევა მოგცეთ რამე. თქვენ მიერ მოგონილი საშუალება საზიზღრად მიმაჩნია და მე ჩემის მხრივ უფრო იმის საშუალების მებნას შევუდგები, რომ დასჯილთ სიცოცხლე დავუბრუნო ელექტრონის შემწეობითა და არა სიცოცხლე მოვუსპოვო.

— გერმანიაში არსებობს ენის გამწმენდელი საზოგადოება. აი ამ საზოგადოებას გომლენცში ყველა სასტუმროებსა და ლუდხანებში შემდეგი განცხადება გამოუკრავს გერმანულს ენაზედ: «ვსთხოვთ ყველა გერმანელებს, რომ უცხო სიტყვებს ნუ იხმარებენ იმ საგნის აღსანიშნავად, რომელთაც გერმანულად სახელი აქვთო.

# დეპეშა

29 იანვარი

**პეტერბურგი.** სწავლა კაზანის უნივერსიტეტში დაიწყება თებერვლის დამდეგს. თუ როგორ დაიწყება ლექციები და პრაქტიკული მუშაობა, ამას უნივერსიტეტის მთავრობა გადასწყვეტსო.

«Гражданинъ»-ი იუწყება, რომ უმაღლესის ბრძანებით საერო თეატრებში და იმ თეატრებშიაც, რომელშიაც მდაბიო ხალხი დაიარება, შეიძლება მხოლოდ ისეთი პიესები იქმნას ხოლმე წარმოდგენილი, რომელიც ნება-დართულია დრამატიულის ცენზურისაგან და რომელიც მოწონებულ იქმნება ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს მიერ.

იგივე გაზეთი უარ-ჰყოფს იმ ცნობას, რომელიც თვითონვე გვაუწყა, რომ ვითომ გადასდვეს განხილვა სატყეო პროექტისაო. დღეს ეს გაზეთი ამბობს, რომ ამ პროექტს წარადგენენ განსახილველად სახელმწიფო საბჭოში ორშაბათსაო.

**ლონდონი.** როცა ლორდთა პალატაში სეფე სიტყვის პასუხად დაწერილის ადრესის გამო ჰქონდათ ბჭობა, სალისბერიმ სთქვა: რუსეთმა შემოგვითვალა, რომ გულ-წრფელად ვადგევარ მშვიდობიანობის პოლიტიკასაო.

საზოგადოებათა პალატაში ადრესის გამო ჩამოვარდნილის კამათობის დროს გლადსტონმა სთქვა, რომ სასიამოვნოა, რომ ავღანის საქმე — ეს უმთავრესი წყარო უსიამოვნებისა რუსეთსა და ჩვენს შორის — მორიგებით გათავდაო. გლადსტონმა დასძინა, რომ დღეის შემდეგ ინგლისს საბუთი აღარ ექმნება იჭვნეულობით უყურებდეს დიდის რუსეთის იმპერიის საზღვრების გავრცელებასაო.

**ქაირი.** ბეირუთში სისხლის ღვრა მოუხდათ ქრისტიანეთა და მოსლემინთა.

**სან-რემო.** გუშინ ჯარა-ექიმმა ბერგმანმა, სხვა მკურნალთა თანადასწრებით, გაუკეთა ოპერაცია გერმანიის მემკვიდრე პრინცს. ოპერაციამ კარგად გაიარა: პრინცს არც გული შეუწუხდა, არც ტკივილი ჰქონდა და არც დიდი სისხლის დენა. ოპერაციის შემდეგ პრინცი კარგად გახდა, მაგრამ ლაპარაკი-კი აღკრძალული აქვს და რამდენიმე დღე ლოგინში უნდა იწვეს. ეხლა საშიშია კიდევ ბრონხიტიო.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა შეიწყნარა მესამედ წაკითხვის დროს კამათობის ჩამოუგდებლად კანონ-პროექტი ფულის აღებისა სესხად სამხედრო საჭიროებისათვის. კენჭის ჩამოტარების დროს კანონ-პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ სოციალისტები.

**რომი.** მეფე ჰუმბერტომ მოაწერა ხელი იმ ბრძანებას, რომლის ძალითაც პურის ბაჟი 3 ლირის მაგიერ 5 ლირი დაიდება.

30 იანვარი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილება: იმ წუმწუმაზე, რომელსაც იმპერიაში ამზადებენ, უნდა დაედვას აქციზი ¼ კაპ. თვითოეულს 75 წუმწუმაზე, და თითო კაპ. 75—300 წუმწუმაზე. იმ წუმწუმაზე, რომელიც საზღვარ გარეთიდამ შემოაქვთ, უნდა დაედვას აქციზად ½ კ. თითოეულს 75 წუმწუმაზე და 2 კ. 75—300 წუმწუმაზე. წუმწუმის ქარხნებმა სახელმწიფო გადასახადი უნდა იხადონ შემდეგის წესით: იმ ქარხნებმა, რომელსაც ამუშავებენ ხელით, უნდა იხადონ 50 მან., იმ ქარხნებმა, რომელსაც აწარმოებენ ცხენის შემწეობით უნდა იხადონ 100 მან.; იმ ქარხნებმა, რომელთაც აწარმოებენ ორთქლის საშუალებით, — 150 მ. წელიწადში. წუმწუმის ვაჭრებს მიეცეს ვადად ერთი თთვე უბანდეროლო წუმწუმის გასასყიდად. აქციზის უწყებას აქციზიდგან მიეცეს 1%, ახალი წესი ძალაში უნდა შევიდეს 1888 წლის 1 მაისიდგან.

**ადესა.** დღეს დაიწყეს ლექციები უნივერსიტეტში.

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, სენატმა მიუსაჯა მოხელეს ბარონ ნოლდეს, რომელსაც ბრალდებოდა გლეხების წვალება გამოძიების დროს, ოთხის წლის კატორგა.

«Новое Время» იუწყება: ის ამბავი, რომელიც გაზეთებში იყო მოხსენებული, მასზედ რომ სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი შესახებ სამთო გადასახადის გაწერისა მარილზე, ტყუილია. გაზეთი ამბობს, რომ ერთსა და იმავე დროს სატყეო პროექტთან განხილულ იქმნება სახელმწიფო რჩევაში პროექტი იმ ცვლილებისა, რომელიც უნდა მოახდინონ სატყეო კანონებში, და იმ სასჯელისა, რომელსაც უნდა მიეცენ ისინი, ვისაც ახალის კანონის დარღვევა ჰბრალდება.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ფერგიუსონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში; ინგლისმა არავითარი ვალდებულება არ იტვირთა, რომ მონაწილეობას მიიღებს თავის მხედრობით, თუ ვინიცობაა სახელმწიფონი ერთმანერთს საჩხუბრად წაეტანებაო.

**პარიჟი.** ვაჭრობის მინისტრმა აუწყა პალატას, რომ გადაწყვეტილია, გამოფენა უსათუოდ 5 მაისს გაიმართოს, 1889 წელსაო. ის ამბავი, რომ ბეირუთში სისხლის ღვრა მოხდა ქრისტიანეთა და მუსულმანთა შორის მართალი არ არისო.

**ვენა.** აქაურს გაზეთში. «აღმოსავლეთის კორრესპონდენცია»-ში დაბეჭდილია წერილი ერთის სამხედრო საქმეთა მცოდნე კაცისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბერლინსა და ვენაში ძალიან გააზვიადეს რუსეთის მიერ თავ-მოყრა ჯარებისა პოლშაშიო. სასაცილოა ვესაყვედურებოდეთ რუსეთს, და ვეუბნებოდეთ რათა ჰზრუნავ შენის ჯარების მოწყობისათვის და ან რკინის გზების გაკეთებისათვისაო, როცა ამისთანავე საქმეებს ადგიან და უფრო მეტადაც გერმანიაცა და ავსტრიაცაო. ყოველ შემთხვევაში ავსტრიისა და გერმანიის ჯარის დაყენება საომარ ფეხზედ ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე რუსეთში და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ასეო.

პეტერბურგის ბირჟა 29 იანვარი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | — | ,, | — | ,, | 9 | 33 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 186¾ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 264¼ | |
| — მეორისა. . . . . | — | ,, | — | ,, | 247 | |
| გირავნობ. ფურცელნი | | | | | | |
| ტფილისის ბანკისა . | — | ,, | 99 | | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | 99 | | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7396**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

**იანვარი 31 დღით არის**

31 დღე კვირა. საკვირველ-მოქმედ. იოანესი და წმინდა შიო მღვიმელისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. პეტრე ნალიასკისა. სომეხ. წმ. პეტრესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—1, ჩადის 5—29. დაბადება მთვარისა 2 საათსა და 46 წუთზედ.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
2 › 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
› » 2— 3½ ›
› › 3 › 3
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 ›
› 2 › 7 ›
სუკი . . . . 14 ›
მროხის ხორცი . . . 8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 7 ›
› 2 › 6 ›

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიაწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საათზე და მიაწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი


ШОКОЛАТЪ С. СІУ и Ко (50—9)

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის [illegible]ერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . . . | 9 „ 50 » | | 5 „ . . . . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . . . | 8 „ 75 » | | 4 „ . . . . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . . . | 8 „ — › | | 3 „ . . . . . . | 3 „ 50 › |
| 8 „ . . . . . | 7 „ 25 » | | 2 „ . . . . . . | 2 „ 75 › |
| 7 „ . . . . . | 6 „ 50 » | | 1 „ . . . . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება — 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

## ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ.
ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.


Доз. цен. Тиф. 28, января 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე